საქართველოს მთავრობის

დადგენილება №428

2010 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივლისის დადგენილება №268 – ვებგვერდი, 20.07.2012წ.

მუხლი 1

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 214-ე მუხლის მე-8 ნაწილისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ქვეყნის ტერიტორიაზე სანიტარიულ-საკარანტინო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში დაავადებების შემოტანისა და შემდგომი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, დამტკიცდეს:

1. „საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემა“ (დანართი №1).
2. „სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი“ (დანართი №2).
3. „საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი საზღვაო პორტების, აეროპორტების, სახმელეთო სასაზღვრო გადასასვლელების – სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების ნუსხა, სადაც ხორციელდება სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი“ (დანართი №3).
4. „მოწმობა გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/მოწმობა გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების შესახებ“ (დანართი №4).
5. „საზღვაო სამედიცინო-სანიტარიული დეკლარაცია“ (დანართი №5).
6. „შტამპი „სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი ჩატარებულია“ (დანართი №6).
7. „საჰაერო ხომალდის საერთო დეკლარაციის სანიტარიული ნაწილი“ (დანართი №7).
8. „მოწმობა ვაქცინაციის ან პროფილაქტიკის ჩატარების შესახებ“ (დანართი №8).
9. „დასენიანებული რეგიონიდან ჩამოსული მგზავრის სააღრიცხვო ბარათი“ (დანართი №9).
10. „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმა“ (დანართი №10).

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივლისის დადგენილება №268 – ვებგვერდი, 20.07.2012წ.
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №540 - ვებგვერდი, 13.12.2016წ.

მუხლი 2

საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილ საზღვაო პორტებში, აეროპორტებსა და სახმელეთო საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ზოგადი პროფილის ექიმი პროფილაქტიკოსის, ექიმი ეპიდემიოლოგის ან ექიმი ჰიგიენისტის კვალიფიკაცია.
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივლისის დადგენილება №268 – ვებგვერდი, 20.07.2012წ.

მუხლი 3

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 15 ივლისის №192 დადგენილება „საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

დანართი №1

საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო

კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემა

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივლისის დადგენილება №268 – ვებგვერდი, 20.07.2012წ.

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ დადგენილებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი – ქვეყანაში საკარანტინო და საერთაშორისო გავრცელების რისკის მქონე სხვა დაავადებების შემოტანის, აღმოცენებისა და გავრცელების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – სამსახური) მიერ ქვეყნის სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში (სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებში) „ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების“, „ საზღვრებზე ტვირთის კონტროლის ჩატარების პირობების შეთანხმების შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის, „ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად განხორციელებული სამედიცინო სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის ღონისძიებები;

ბ) სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი – №3 დანართით განსაზღვრული სასაზღვრო ინსპექციის პუნქტები და სხვა კონტროლის ზონა, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი;

გ) სატრანსპორტო საშუალება – საერთაშორისო რეისის განმახორციელებელი საჰაერო ხომალდი, საზღვაო ხომალდი, მატარებელი, საავტომობილო სატრანსპორტო საშუალება ან სხვა სატრანსპორტო საშუალება;

დ) საქონელი – სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების ბორტზე გამოყენებისათვის განკუთვნილი მატერიალური ქონება, მათ შორის, ცხოველები და მცენარეები;

ე) ეკიპაჟი – საერთაშორისო მიმოსვლის სატრანსპორტო საშუალების ბორტზე მყოფი პირები, გარდა მგზავრისა;

ვ) მგზავრი – ფიზიკური პირი, რომელიც კანონიერად კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს, მიუხედავად საბაჟო საზღვრის გადაკვეთის მიზნებისა;

ზ) საერთაშორისო გადაადგილება:

ზ.ა) სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში – ერთზე მეტი ქვეყნის ტერიტორიის შემოსასვლელ პუნქტებს შორის გადაადგილება ან ერთი ქვეყნის ტერიტორიის შემოსასვლელ პუნქტებს შორის გადაადგილება, თუ სატრანსპორტო საშუალებას გადაადგილებისას აქვს შეხება ნებისმიერი სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან;

ზ.ბ) მგზავრის შემთხვევაში – მგზავრობა ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის მიზნით, გარდა იმ ქვეყნის ტერიტორიისა, საიდანაც მგზავრი იწყებს გადაადგილებას;

თ) იზოლაცია – ინფიცირებისა და კონტამინაციის გავრცელების აღკვეთის მიზნით დაავადებული ან დასენიანებული პირის, ან დასენიანებული სატრანსპორტო საშუალების, კონტეინერის, ტვირთის, ბარგის, საფოსტო გზავნილების განცალკევება;

ი) კარანტინი – ქმედების შეზღუდვა ან/და დაავადებაზე საეჭვო პირების განცალკევება იმ პირებისაგან, რომლებიც არ არიან დაავადებულნი, ან საეჭვო სატრანსპორტო საშუალებების, ბარგის, ხელბარგის ან საქონლის განცალკევება იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული ინფექციის შესაძლო გავრცელება ან კონ-ტამინაცია;

კ) დაავადებაზე საეჭვო – ის პირი, სატრანსპორტო საშუალება, კონტეინერი, ტვირთი, ბარგი, ხელბარგი ან საფოსტო გზავნილი, რომლებმაც განიცადეს ან შესაძლოა განიცადეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკის ფაქტორის ზემოქმედება და, ამდენად, შესაძლებელია წარმოადგენდნენ დაავადების გავრცელების პოტენციურ წყაროს;

ლ) ინფექცია – ადამიანის ან ცხოველის ორგანიზმში ინფექციური აგენტის შეჭრა და განვითარება ან შემდგომი გამრავლება, რაც შეიძლება წარმოადგენდეს რისკს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის;

მ) რეზერვუარი – ცხოველი, მცენარე ან ნივთიერება, რომელშიც ინფექციის გამომწვევი აგენტი ჩვეულებრივად ბინადრობს და რომლის არსებობა შესაძლებელია წარმოადგენდეს რისკს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის;

ნ) ეპიდემიური კერა – ინფექციის წყაროს ადგილი და მისი მომიჯნავე ტერიტორია, რომელთა ფარგლებშიც მოცემულ პირობებში შესაძლებელია ჯანმრთელი ადამიანების ინფიცირება დაავადების გამომწვევით;

ო) დასენიანებული რეგიონი – კონკრეტული გეოგრაფიული რეგიონი, რომლის მიმართ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია იძლევა რეკომენდაციებს დადგენილი წესების შესაბამისი სამედიცინო-სანიტარიული ზომების მიღების შესახებ;

პ) სამედიცინო ღონისძიება – კონტამინაციის ან დაავადების გავრცელების თავიდან აცილების, ანუ პრევენციის მიზნით ჩატარებული პროცედურა (სამედიცინო ღონისძიება არ გულისხმობს სამართალდამცავ ან უშიშროების უზრუნველყოფის ღონისძიებებს);

ჟ) ინსპექტირება – კომპეტენტური ორგანოების მიერ ან უშუალოდ მათი კონტროლის ქვეშ, არეალის, ბარგის და ხელბარგის, ადამიანის გვამის, კონტეინერების, სატრანსპორტო საშუალების, ობიექტების, საქონლისა და საფოსტო გზავნილების, აგრეთვე შესაბამისი მონაცემებისა და დოკუმენტაციის დათვალიერება-შესწავლა სა-ზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის გამოვლენის მიზნით;

რ) კონტროლის ობიექტი – სატრანსპორტო საშუალება და მისი ეკიპაჟი, მგზავრი, მისი ბარგი და ხელბარგი, ადამიანის გვამი;

ს) უფლებამოსილი პირი – შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სპეციალობის მქონე მოხელე (ზოგადი პროფილის ექიმი პროფილაქტიკოსი, ექიმი ეპიდემიოლოგი ან ექიმი ჰიგიენისტი), რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს სამედიცინო სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი;

ტ) ეროვნული კოორდინატორი – ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების თანახმად, ეროვნული კოორდინატორის ფუნქციის განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, რომელიც ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის საკონტაქტო პუნქტებთან კავშირისათვის ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროს;

უ) განსაკუთრებით საშიში ინფექციები – პათოგენური ბიოლოგიური აგენტებით გამოწვეული დაავადებები, რომლებიც განსაკუთრებულ რისკს უქმნის ადამიანის ან/და ცხოველის ჯანმრთელობას;

ფ) დეზინფექცია – პროცედურა, რომლის შესაბამისად ადამიანის ან ცხოველის სხეულის ზედაპირზე ან ბარგში, ხელბარგში, საქონელში, კონტეინერებში, სატრანსპორტო საშუალებებსა და საფოსტო გზავნილებში ქიმიური ან ფიზიკური აგენტების პირდაპირი ზემოქმედების მეშვეობით ტარდება სანიტარიული ღონისძიებები ინფექციური აგენტების წინააღმდეგ ბრძოლის ან განადგურების მიზნით;

ქ) დეზინსექცია – პროცედურა, რომლის შესაბამისადაც ტარდება სანიტარიული ღონისძიებები ბარგში, ხელბარგში, საქონელში, კონტეინერებში, სატრანსპორტო საშუალებებსა და საფოსტო გზავნილებში აღმოჩენილი ადამიანის დაავადების გადამტანი მწერების გასანადგურებლად;

ღ) დერატიზაცია – პროცედურა, რომლის შესაბამისადაც ტარდება სანიტარიული ღონისძიებები ბარგში, ხელბარგში, კონტეინერებში, სატრანსპორტო საშუალებებზე, ობიექტებზე, საქონელში, ამანათებსა და საფოსტო გზავნილებში არსებული ადამიანის დაავადებების გამავრცელებელი მღრღნელების გასანადგურებლად შემოსასვლელ პუნქტში;

ყ) კონტამინაცია – ინფექციური ან ტოქსიკური აგენტის ან ნივთიერების არსებობა ადამიანის ან ცხოველის სხეულის ზედაპირზე, მოხმარებისათვის განკუთვნილ პროდუქტში ან პროდუქტზე, ან სხვა საგანზე (სატრანსპორტო საშუალების ჩათვლით), რაც შესაძლებელია წარმოადგენდეს რისკს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის;

შ) დეკონტამინაცია – პროცედურა, რომლის შესაბამისად ტარდება სანიტარიული ღონისძიებები ადამიანის ან ცხოველის სხეულის ზედაპირზე, მოხმარებისათვის განკუთვნილ პროდუქტში ან პროდუქტზე ან სხვა საგნებზე (სატრანსპორტო საშუალების ჩათვლით) ინფექციური ან ტოქსიკური აგენტის მოსპობის მიზნით, რომელიც შესაძლებელია წარმოადგენდეს რისკს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის;

ჩ) რეკომენდაციები – ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული მუდმივი ან დროებითი რეკომენდაციები, რომლებიც ოპერატიულად მიეწოდება სამსახურს დასენიანებული ან/და დასენიანების რისკის მქონე ქვეყნებიდან შემოსული პირებისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ ჩასატარებელი სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის პროცედურებისა და გასატარებელი ღონისძიებების (დეკონტამინაცია, იზოლაცია, კარანტინი, ფიზიკური ან/და იურიდიული პირების ქვეყანაში შემოსვლის დროებითი აკრძალვა ან შეზღუდვა, სხვა ღონისძიებები) შესახებ, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაავადების საერთაშორისო გავრცელება და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი დაბრკოლებები საერთაშორისო გადაზიდვებისათვის;

ც) ინტრუზიული პროცედურა – პირისათვის შესაძლო დისკომფორტის შექმნა მასთან მჭიდრო და უშუალო კონტაქტის ან პირადი ხასიათის შეკითხვების დასმის შედეგად;

ძ) ინვაზიური პროცედურა – კანზე ჩხვლეტა, კანის გაჭრა, სხეულში სამედიცინო ინსტრუმენტის ან უცხო სხეულის შეყვანა ან ორგანიზმის ღრუების დათვალიერება; ამ დადგენილების მიზნებისათვის: ყურის, ცხვირისა და პირის ღრუს სამედიცინო გამოკვლევა; ტემპერატურის გაზომვა ყურის, ორალური ან კანის თერმომეტრით, ან გამოსახულების თერმული ვიზუალიზაციით; სამედიცინო შემოწმება; აუსკულტაცია; გარეგანი პალპაცია; რეტინოსკოპია; შარდის, ფეკალური მასებისა და ნერწყვის ნიმუშების გამოყოფის შემდგომი შეგროვება; არტერიული წნევის ექსტერნალური გაზომვა და ელექტროკარდიოგრაფია მიიჩნევა არაინვაზიურ პროცედურებად;

წ) თანხმობა თავისუფალ ურთიერთობაზე – სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ ნებართვის გაცემა:

წ.ა) საზღვაო მცურავი საშუალებებისათვის – პორტში შესვლაზე, მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრების ჩასხდომა-გადმოსხდომაზე, საქონლის ან მარაგის ჩატვირთვა-გადმოტვირთვაზე;

წ.ბ) დაშვების შემდეგ საჰაერო ხომალდისათვის – მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრების ჩასხდომა-გადმოსხდომაზე, საქონლის ან მარაგის ჩატვირთვა-გადმოტვირთვაზე;

წ.გ) შემოსვლის შემდეგ სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებისათვის – მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრების ჩასხდომა-გადმოსხდომაზე, საქონლისა და მარაგის ჩატვირთვა-გადმოტვირთვაზე.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივლისის დადგენილება №268 – ვებგვერდი, 20.07.2012წ.

თავი II. კომპეტენტური ორგანოები და მათი მოვალეობები

მუხლი 2. კომპეტენტური ორგანოები

1. საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად განხორციელების კომპეტენცია ეკისრება:

ა) სამსახურს, რომელიც არის ამ დადგენილებით განსაზღვრული სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის ღონისძიებების განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანო;

ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (შემდგომში – ცენტრი), ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების ეროვნულ კოორდინატორს, რომელიც ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის საკონტაქტო პუნქტებთან კავშირისათვის ხელმისაწვდომია ნებისმიერ დროს, 24 საათის განმავლობაში და არის უფლებამოსილი ცენტრი, რომელიც, თავის მხრივ, საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებულ ინფორმაციას აწვდის საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოს;

გ) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს – ქიმიური და რადიოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკების გამოვლენის შემთხვევაში.

2. ცენტრი, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად, სამსახურს აწვდის რეკომენდაციებს დასენიანებული ქვეყნების და მოსალოდნელი რისკების გათვალისწინებით. რეკომენდაციებს თან უნდა დაერთოს სანიტარიული კონტროლისა და სანიტარიული ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელთა ჩატარება აუცილებელია კონკრეტული დაავადების გავრცელების აღსაკვეთად.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, დასენიანებული რეგიონიდან ჩამოსულ პირთა აღრიცხვას (დანართი №9) ახორციელებს სამსახური.

4. „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საგანგებო სიტუაციებში პასუხისმგებელ ორგანოთა კოორდინირებულ ქმედებებს ხელმძღვანელობს ეროვნული რეაგირების გეგმით განსაზღვრული სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივლისის დადგენილება №268 – ვებგვერდი, 20.07.2012წ.

მუხლი 3. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის მოვალეობები

1. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს ევალება:

ა) შეამოწმოს დასენიანებული რეგიონებიდან შემოსული ბარგი და ხელბარგი, ტვირთი, კონტეინერები, სატრანსპორტო საშუალებები, საქონელი, საფოსტო გზავნილები და ადამიანის გვამი, ინფექციისა და კონტამინაციის წყაროების (გადამტანებისა და რეზერვუარების ჩათვლით) არარსებობაში დარწმუნების მიზნით;

ბ) უზრუნველყოს შემოსასვლელ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებში მგზავრების მიერ გამოსაყენებელი საშუალებების სანიტარიული მდგომარეობა, ინფექციისა და კონტამინაციის წყაროების (გადამტანებისა და რეზერვუარების ჩათვლით) არსებობის გამოსარიცხად;

გ) განახორციელოს კონტროლის ობიექტის დეზინფექციის, დეკონტამინაციის, დეზინსექციის ან დერატიზაციის ჩატარების, ან შესაბამის შემთხვევებში, დადგენილი წესით მგზავრთა სანიტარიული დამუშავების ზედამხედველობა;

დ) სატრანსპორტო საშუალების მიმართ გასატარებელი კონტროლის ღონისძიებებისა და გამოსაყენებელი მეთოდების შესახებ შესაძლებლობის შემთხვევაში წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია გადამზიდველს ან სატრანსპორტო საშუალების მფლობელს;

ე) განახორციელოს სატრანსპორტო საშუალებიდან კონტამინირებული წყლის, კვების პროდუქტების, ადამიანებისა და ცხოველების ცხოველქმედების ნარჩენების, ჩამდინარე წყლის და ნებისმიერი სხვა დაავადების გამომწვევი ნივთიერების ამოღებისა და უსაფრთხო მოცილების კონტროლი;

ვ) ზღვის, მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების კონტამინირების თავიდან აცილების მიზნით, შეძლებისდაგვარად განახორციელოს გემებიდან ნაწრეტი წყლის, ნარჩენების, ბალასტის წყლის და სხვა პოტენციურად დაავადების გამომწვევი ნივთიერებების გადმოყრა-გადმოღვრის მონიტორინგი;

ზ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში საგანგებო სიტუაციის შემთხვევისათვის მზადყოფნაში იქონიოს სათანადო გეგმები და საშუალებები.

2. დასენიანებული ზონებიდან კონტროლის ობიექტების შემოსვლისას მათ მიმართ შესაძლებელია სანიტარიული კონტროლის ღონისძიებების ხელახლა გამოყენება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მონაცემები და/ან ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ დასენიანებული ზონიდან გამოსვლისას მათ მიმართ მიღებული ზომები არ აღმოჩნდა ეფექტიანი.

3. დეზინფექცია, დეკონტამინაცია, დეზინსექცია, დერატიზაცია ან სხვა სანიტარიული პროცედურები უნდა ჩატარდეს იმგვარად, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს მგზავრებისათვის ზიანის მიყენება ან მათი დისკომფორტი, ასევე გარემოს დაბინძურება, და არ გამოიწვიოს კონტროლის ობიექტისათვის ზარალის მიყენება.

თავი III. სამედიცინო სანიტარიულ-საკარანტინო ღონისძიებები და სპეციალური მოთხოვნები

მუხლი 4. სამედიცინო სანიტარიულ-საკარანტინო ღონისძიებები

1. ჯანმრთელობის საერთაშორისო წესებისა და ამ დადგენილების შესაბამისად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნებისათვის, ქვეყანაში შემოსვლისას ან ქვეყნიდან გასვლისას სასაზღვრო ინსპექციის პუნქტმა შესაძლოა მოითხოვოს:

ა) ინფორმაცია მგზავრობის პუნქტებთან დაკავშირებით მგზავრთან კონტაქტის დადგენის მიზნით;

ბ) ინფორმაცია მგზავრობის მარშრუტის (დასენიანებულ ზონაში ან მის მახლობლად ყოფნის) შესახებ ინფექციის ან კონტამინაციის წყაროსთან კონტაქტის დადგენის მიზნით;

გ) მგზავრის არაინვაზიური და შეძლებისდაგვარად ნაკლებინტრუზიული სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით;

დ) კონტროლის ობიექტის ინსპექტირების ჩატარება.

2. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი მონაცემების არსებობისას სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი უფლებამოსილია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი სანიტარიული ღონისძიებები, კერძოდ, დასენიანებული ან ინფიცირებაზე საეჭვო მგზავრების მიმართ არაინვაზიური და შეძლებისდაგვარად ნაკლებად ინტრუზიული სამედიცინო გამოკვლევა.

3. მგზავრის სამედიცინო გამოკვლევა, ვაქცინაცია, პროფილაქტიკა ან სხვა სამედიცინო-სანიტარიული ღონისძიება შესაძლებელია განხორციელდეს ამ დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, მხოლოდ მგზავრის (პირის ქმედუუნარობის ან შეზღუდული ქმედუნარიანობის შემთხვევაში – მისი კანონიერი წარმომადგენლის) წინასწარი ზეპირი ან წერილობითი ინფორმირებული თანხმობით, გარდა ამ ტექნოლოგიური სქემის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მგზავრს (პირის ქმედუუნარობის ან შეზღუდული ქმედუნარიანობის შემთხვევაში – მის კანონიერ წარმომადგენელს), რომლის მიმართაც ხორციელდება ვაქცინაცია ან გამოიყენება სხვა სანიტარიული ღონისძიებები, დროულად უნდა მიეწოდოს ამომწურავი ინფორმაცია ვაქცინაციის ან სხვა სამედიცინო მანიპულაციის არსისა და აუცილებლობის, მოსალოდნელი კლინიკური გამოსავლის, არსებული რისკისა და, სამედიცინო მანიპულაციაზე უარის შემთხვევაში, შესაძლო შედეგების შესახებ.

5. ნებისმიერი სამედიცინო პროცედურა (მანიპულაცია), რისკის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ეროვნული და საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისად.

6. საქართველოში აკრედიტებული დიპლომატებისა და დიპლომატიური სტატუსის მქონე პირების პირადი ბარგი, ხელბარგი, დიპლომატიური ფოსტა, აგრეთვე საკონსულო ვალიზა თავისუფლდება სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლისაგან. თუ არსებობს ეჭვი, რომ ამ ბარგით, ხელბარგით ან საფოსტო გზავნილით გადაიტანება პათოგენური ბიოლოგიური აგენტი ან/და არსებობს ქვეყანაში განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების შემოტანისა და გავრცელების საშიშროება, კონტროლი ხორციელდება მხოლოდ დიპლომატისა და დიპლომატიური სტატუსის მქონე პირების ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების თანდასწრებით.

7. [საქართველოს]() [საგადასახადო]() [კოდექსის]() [219-ე]() [მუხლის]() [მე-3]() [ნაწილის]() შესაბამისად, საკონსულო ვალიზის გახსნაზე უარის თქმის შემთხვევაში, იგი ბრუნდება.

მუხლი 5. გადამზიდველი

1. გადამზიდველი ვალდებულია:

ა) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობითა და რეკომენდაციებით გათვალისწინებული სანიტარიული მოთხოვნები;

ბ) უზრუნველყოს მგზავრების ინფორმირება საქართველოს კანონმდებლობითა და რეკომენდაციებით გათვალისწინებული სანიტარიული მოთხოვნების შესახებ;

გ) თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე მუდმივად უზრუნველყოს ინფექციისა და კონტამინაციის წყაროების დაუშვებლობა.

2. გადამზიდველი უზრუნველყოფს:

ა) სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის ინსპექტირების ჩატარების ხელშეწყობას;

ბ) ბორტზე მყოფი მგზავრების სამედიცინო გამოკვლევის ხელშეწყობას;

გ) ამ დადგენილებით განსაზღვრული სხვა სანიტარიული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობას;

დ) სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირის მოთხოვნით, საჭირო სამედიცინო-სანიტარიული ინფორმაციის წარმოდგენას.

3. გადამზიდველი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს წარუდგენს გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობას (დანართი №4) ან საზღვაო სამედიცინო-სანიტარიულ დეკლარაციას (დანართი №5), ან საჰაერო ხომალდის საერთო დეკლარაციის სანიტარიულ ნაწილს (დანართი №7).

4. საქონლის, სატრანსპორტო საშუალების, ბარგისა და ხელბარგის მიმართ ამ დადგენილებით გათვალისწინებული კონტროლის ღონისძიებების გამოყენებისას შეძლებისდაგვარად თავიდან უნდა იქნეს აცილებული პირების ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება, მათი დისკომფორტი ან საქონლის,

სატრანსპორტო საშუალებების, ბარგისა და ხელბარგისათვის ზარალის მიყენება. საჭიროებისა და მიზანშეწონილობის შემთხვევაში, შესაძლებელია სანიტარიული კონტროლის პროცედურები განხორციელდეს ცარიელ სატრანსპორტო საშუალებებზე (მათ შორის, ცარიელ ტრიუმებზე).

5. ინფორმაცია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სანიტარიული დამუშავების ზომებისადმი დაქვემდებარების, გამოყენებული მეთოდებისა და მათი გამოყენების მიზეზების შესახებ წერილობითი ფორმით მიეწოდება საჰაერო ხომალდის პასუხისმგებელ პირს, ხოლო გემის შემთხვევაში აღინიშნება გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობაში და „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმაში“ (დანართი №10).

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №540 - ვებგვერდი, 13.12.2016წ.

მუხლი 6. ტრანზიტული გემები და საჰაერო ხომალდები

საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნებისა და ამ ტექნოლოგიური სქემის მე-8 მუხლის (მოიცავს დამატებით სამედიცინო-სანიტარიულ ღონისძიებებს) გათვალისწინებით, სანიტარიული ღონისძიებები არ გამოიყენება:

ა) გემის მიმართ, რომელიც შემოსულია არადასენიანებული ზონიდან და გადაადგილდება ქვეყნის ტერიტორიის გავლით სხვა ქვეყნის პორტებში. ნებისმიერი ასეთი გემისათვის ნებადართულია, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირის კონტროლით ბორტზე მიიღოს საწვავი, წყალი, სურსათი და სხვა საჭირო მარაგი;

ბ) გემის მიმართ, რომელიც ნავსადგურში შესვლის (მგზავრების გადმოსხმის) გარეშე გადაადგილდება ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ არსებული წყლების გავლით;

გ) ტრანზიტული საჰაერო ხომალდის მიმართ – ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ არსებულ აეროპორტებში, იმ გამონაკლისის გათვალისწინებით, რომ ამ საჰაერო ხომალდის დგომა შესაძლებელი იქნება აეროპორტის ტერიტორიის განსაზღვრულ ზონაში, მგზავრების ჩასხდომა-გადმოსხდომისა და საქონლის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის უფლების გარეშე. ამასთან, ნებისმიერ ასეთ საჰაერო ხომალდს უფლება ეძლევა სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის კონტროლის ქვეშ ბორტზე მიიღოს საწვავი, წყალი, სურსათი და სხვა საჭირო მარაგი.

მუხლი 7. ტრანზიტული სატვირთო ავტომობილები, სამგზავრო და სატვირთო მატარებლები და ავტობუსები

საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნებისა და ამ ტექნოლოგიური სქემის მე-8 მუხლის (მოიცავს დამატებით სამედიცინო-სანიტარიულ ღონისძიებებს) გათვალისწინებით, არანაირი სანიტარიული ღონისძიებები არ გამოიყენება ტრანზიტული სატვირთო ავტომობილის, სამგზავრო და სატვირთო მატარებლისა და ავტობუსის მიმართ, რომლებიც შემოსულია არადასენიანებული ზონიდან და გადაადგილდება ქვეყნის ტერიტორიის გავლით მგზავრების ჩასხდომა-გადმოსხდომისა და საქონლის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის გარეშე.

მუხლი 8. დასენიანებული სატრანსპორტო საშუალებები

1. თუ სატრანსპორტო საშუალების ბორტზე აღმოჩენილია დაავადების კლინიკური ნიშნები ან სიმპტომები და მონაცემები, რომლებიც ეფუძნება ფაქტებს ან დადასტურებულ ინფორმაციას საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის თაობაზე, მათ შორის, ინფექციისა და კონტამინაციის წყაროები, ასეთი სატრანსპორტო საშუალება ჩაითვლება დასენიანებულად და სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს მოცემული სატრანსპორტო საშუალების დეზინფექციის, დეკონტამინაციის, დეზინსექციის ან დერატიზაციის თავისი კონტროლის ქვეშ ჩატარება;

ბ) ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკის კონტროლის ადეკვატური დონის უზრუნველმყოფი, ამ დადგენილებით და რეკომენდაციებით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენების შესახებ; აგრეთვე გამოიყენოს სხვა მეთოდები და მასალები, თუ დადგენილია მათი უსაფრთხოება და საიმედოობა;

გ) დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი უფლებამოსილია გამოიყენოს დამატებითი სანიტარიული ღონისძიებები (საჭიროების შემთხვევაში, სატრანსპორტო საშუალებების იზოლაციის ჩათვლით), რომელთა გამოყენების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ეროვნულ კოორდინატორს.

2. თუ შემოსასვლელი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი ვერ უზრუნველყოფს ამ მუხლით გათვალისწინებული კონტროლის ღონისძიებების განხორციელებას, დასენიანებულ სატრანსპორტო საშუალებას შესაძლებელია მიეცეს გასვლის ნებართვა შემდეგი პირობების დაცვით:

ა) სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი გასვლისას აწვდის შემდგომი დანიშნულების პუნქტის კომპეტენტურ ორგანოს ინფორმაციას აღმოჩენილი ფაქტებისა და კონტროლის აუცილებელი ღონისძიებების შესახებ;

ბ) გემის შემთხვევაში – აღმოჩენილი ფაქტები და კონტროლის აუცილებელი ღონისძიებები აღინიშნება გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობაში, ასევე მიეთითება „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმაში“ (დანართი №10), გამოვლენილი არადამაკმაყოფილებელი ფაქტის შესაბამისი კოდის დაფიქსირებით;

გ) ნებისმიერ ასეთ სატრანსპორტო საშუალებას უფლება ეძლევა, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის კონტროლის ქვეშ ბორტზე მიიღოს საწვავი, წყალი, სურსათი და სხვა საჭირო მარაგი.

3. დასენიანებული სატრანსპორტო საშუალება აღარ ჩაითვლება დასენიანებულად, თუ:

ა) ეფექტიანად განხორციელდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ბ) ბორტზე აღარ არსებობს პირობები, რომლებიც შესაძლებელია წარმოადგენდეს რისკს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №540 - ვებგვერდი, 13.12.2016წ.

მუხლი 9. გემები და საჰაერო ხომალდები შემოსასვლელ პუნქტებში

1. თუ საერთაშორისო შეთანხმებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გემს და საჰაერო ხომალდს სანიტარიული ხასიათის მიზეზით არ შეიძლება აეკრძალოს ნებისმიერ შემოსასვლელ პუნქტში შემოსვლა. თუ მოცემული შემოსასვლელი პუნქტი ამ დადგენილებით გათვალისწინებული სანიტარიული ღონისძიებების გამოყენებისათვის არ არის მოწყობილი, შესაძლებელია გემს ან საჰაერო ხომალდს მიეცეს უფლება, თავიანთი რისკით გადაადგილდნენ მათთვის მისაღებ უახლოეს შემოსასვლელ პუნქტში, თუ გემს ან საჰაერო ხომალდს არ გააჩნია ისეთი საექსპლუატაციო ხასიათის პრობლემები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის მათ ამგვარი გადახვევისას.

2. თუ საერთაშორისო შეთანხმებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არ შეიძლება გემს ან საჰაერო ხომალდს სანიტარიული თვალსაზრისით უარი ეთქვას თავისუფალ ურთიერთობაზე. კერძოდ, მათ არ შეიძლება უარი ეთქვათ ჩასხდომა-გადმოსხდომაზე, საქონლის, ბარგისა და ხელბარგის ჩატვირთვა-გადმოტვირთვაზე ან ბორტზე საწვავის, წყლის, სურსათის და სხვა საჭირო მარაგის მიღებაზე. ამ შემთხვევაში თანხმობა თავისუფალ ურთიერთობაზე მათ ეძლევათ იმ პირობით, რომ ჩატარდება სანიტარიული კონტროლი და, თუ ბორტზე აღმოჩენილი იქნება ინფექციის ან კონტამინაციის წყარო, მათი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით განხორციელდება აუცილებელი დეზინფექცია, დეკონტამინაცია, დეზინსექცია, დერატიზაცია ან სხვა აუცილებელი ღონისძიებები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული პრაქტიკულად განხორციელებადია, საჰაერო ხომალდს ან გემს შესაძლებელია მიეცეს თანხმობა თავისუფალ ურთიერთობაზე რადიოკავშირის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით, თუ შემოსვლამდე მიღებული ინფორმაციით დასტურდება, რომ ამ გემის ან საჰაერო ხომალდის შემოსვლა არ განაპირობებს დაავადების შემოტანას და გავრცელებას.

4. გემის კაპიტნები ან საჰაერო ხომალდის მეთაურები ან მათი წარმომადგენლები დანიშნულების ნავსადგურში შემოსვლამდე ან აეროპორტში ჩამოფრენამდე (როგორც კი ცნობილი გახდა მათთვის), აცნობებენ ნავსადგურის ან აეროპორტის კონტროლის ორგანოს ინფექციური ხასიათის დაავადების გამოვლენის ნებისმიერი შემთხვევის ან იმ ფაქტის შესახებ, რომელიც წარმოადგენს რისკს ბორტზე მყოფი ადამიანების ჯანმრთელობისათვის. აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს (აეროპორტი, ნავსადგური). გადაუდებელ შემთხვევებში ასეთი ინფორმაცია მიწოდებულ უნდა იქნეს უშუალოდ გემის კაპიტნის ან საჰაერო ხომალდის მეთაურის მიერ.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც საჰაერო ხომალდის მეთაურისაგან ან გემის კაპიტნისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხორციელდება დაავადებაზე საეჭვო ან დასენიანებული სატრანსპორტო საშუალების დაშვება თავდაპირველად განსაზღვრულისაგან განსხვავებულ აეროპორტში, ან შესაბამისად ღუზაზე დადგომა განსხვავებულ ნავსადგურში:

ა) გემის კაპიტანი ან საჰაერო ხომალდის მეთაური ან სხვა უფლებამოსილი პირი მიმართავს ყველა საშუალებას, რომ დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს უახლოეს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს;

ბ) როგორც კი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი ინფორმირებული იქნება განხორციელებული დაშვების ან ღუზაზე დადგომის შესახებ, მას შეუძლია განახორციელოს რეკომენდაციებით ან ამ დადგენილებით გათვალისწინებული სხვა სანიტარიული ღონისძიებები;

გ) გარდა კომპეტენტურ ორგანოსთან დაკავშირების ან რაიმე საგანგებო მიზეზისა, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის ნებართვის გარეშე არც ერთმა პირმა არ უნდა დატოვოს ასეთი საჰაერო ხომალდის ან გემის ბორტი და არ უნდა გადაადგილდეს ბორტზე არსებული საქონელი;

დ) სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის მიერ შეთავაზებული ყველა ღონისძიების შესრულების შემდგომ საჰაერო ხომალდი ან გემი შესაძლებელია გადაადგილდეს თავდაპირველი დანიშნულების აეროპორტში ან ნავსადგურში. თუ ტექნიკური მიზეზების გამო აღნიშნული შეუძლებელია, მაშინ მათი გადაადგილება შესაძლებელია სხვა, მათთვის მისაღებ აეროპორტში ან ნავსადგურში.

6. ამ მუხლის მოთხოვნებისაგან დამოუკიდებლად, გემის კაპიტანს ან საჰაერო ხომალდის მეთაურს შეუძლია მიიღოს ისეთი საგანგებო ზომები, რომლებიც აუცილებელია ბორტზე მყოფი მგზავრების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამ პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი ზომების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს.

მუხლი 10. სატვირთო ავტომობილები, სატვირთო და სამგზავრო მატარებლები და ავტობუსები შემოსასვლელ პუნქტებში

სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებში სატვირთო ავტომობილების, სატვირთო და სამგზავრო მატარებლების და ავტობუსების მიმართ სანიტარიული ღონისძიებები ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების თანახმად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

მუხლი 11. მგზავრები და სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი პირები

თუ საერთაშორისო შეთანხმებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დაავადების გავრცელებაზე ეჭვის გამო მეთვალყურეობადაწესებულ მგზავრს შეუძლია გააგრძელოს საერთაშორისო მოგზაურობა, თუ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირი მიიჩნევს, რომ აღნიშნული მგზავრი არ წარმოადგენს უშუალო რისკს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის. ასეთი მგზავრის არსებობის შესახებ ინფორმაცია გადაეცემა ცენტრს, რომელიც, თავის მხრივ, ატყობინებს დანიშნულების ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს.

მუხლი 12. მგზავრის შემოსვლასთან დაკავშირებული სანიტარიული ღონისძიებები

1. ინვაზიური სამედიცინო გამოკვლევა, ვაქცინაცია ან სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებები არ წარმოადგენს მგზავრის ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლის წინაპირობას, თუმცა სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი უფლებამოსილია მოითხოვოს მგზავრის სამედიცინო გამოკვლევა, ვაქცინაცია ან სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებები, ან სათანადო ცნობები ამ ღონისძიებების შესახებ ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების ეროვნული კოორდინატორის მიერ მიწოდებული ინსტრუქციის საფუძველზე:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის განსაზღვრის აუცილებლობის შემთხვევაში;

ბ) მგზავრის შემოსვლის წინაპირობის სახით, როდესაც პირს განზრახული აქვს მიიღოს დროებითი ან მუდმივი საცხოვრებელი.

2. როდესაც მგზავრი (რომლის მიმართაც სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამედიცინო გამოკვლევის ჩატარება, ვაქცინაცია ან სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებები) არ ეთანხმება ნებისმიერი. აღნიშნული ღონისძიების გამოყენებას ან უარს აცხადებს ამ ტექნოლოგიური სქემის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის და დოკუმენტების წარდგენაზე, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი უფლებამოსილია უარი განუცხადოს მგზავრს ქვეყანაში შემოსვლაზე. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის გარდაუვალი რისკის შესახებ მონაცემების არსებობისას და იმ ხარისხის გათვალისწინებით, თუ რამდენად აუცილებელია ასეთ რისკზე კონტროლის დაწესებისათვის აღნიშნული პროცედურების ჩატარება, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი უწევს რეკომენდაციას მგზავრს ამ პროცედურების განხორციელებასთან დაკავშირებით, ხოლო უარის შემთხვევაში უფლებამოსილია აიძულოს მგზავრი, რომ დაექვემდებაროს:

ა) შეძლებისდაგვარად ნაკლებინვაზიურ და ინტრუზიულ სამედიცინო გამოკვლევას, რაც შესაძლებელს გახდის მიღწეულ იქნეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნები;

ბ) ვაქცინაციას ან სხვა პროფილაქტიკურ ღონისძიებას;

გ) დამატებით დადგენილ სანიტარიულ ღონისძიებებს, რაც შესაძლებელს გახდის თავიდან იქნეს აცილებული დაავადების გავრცელება, ან დაწესდეს კონტროლი დაავადების გავრცელებაზე (იზოლაცია, კარანტინი ან მგზავრის მოქცევა სამედიცინო დაკვირვების ქვეშ).

მუხლი 13. მგზავრებისადმი მოპყრობა

ამ დადგენილებით გათვალისწინებული სანიტარიული ღონისძიებების განხორციელებისას კომპეტენტური ორგანოს პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან მგზავრებს მოეპყრონ პატივისცემით მათი ღირსებისადმი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისადმი და მინიმუმამდე დაიყვანონ მიყენებული დისკომფორტი, რაც მოიცავს:

ა) პატივისცემით მოპყრობას ყველა მგზავრის მიმართ;

ბ) მგზავრის სქესობრივი, სოციალურ-კულტურული, ეთნიკური თავისებურებების და რელიგიური მრწამსის გათვალისწინებას;

გ) ადეკვატური საკვებითა და წყლით, განთავსებით, ტანსაცმლით, სათანადო სამედიცინო მომსახურებით, კომუნიკაციის აუცილებელი საშუალებებით (შეძლებისდაგვარად, მათთვის გასაგებ ენაზე) უზრუნველყოფას, მათი ბარგისა და ხელბარგის დაცულობას და სხვა სათანადო დახმარების გაწევას იმ მგზავრებისათვის, რომ-ლებიც მოთავსებულნი არიან კარანტინში ან იმყოფებიან იზოლაციაში, ან რომლებსაც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნებისათვის უტარდებათ სამედიცინო გამოკვლევა ან სხვა პროცედურა.

მუხლი 14. ტრანზიტული საქონელი

თუ საერთაშორისო შეთანხმებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ტრანზიტული საქონელი (გარდა ცოცხალი ცხოველებისა), რომელიც არ ექვემდებარება ქვეყნის ტერიტორიაზე ჩამოტვირთვას, არ წარმოადგენს ამ ტექნოლოგიური სქემით გათვალისწინებული სანიტარიული ღონისძიების ობიექტს და არ უნდა შეყოვნდეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნებისათვის.

მუხლი 15. კონტეინერები და მათი დატვირთვის ადგილები

1. საერთაშორისო გადაზიდვებისას გამოიყენება ისეთი კონტეინერი, რომელიც უზრუნველყოფს ნებისმიერი ინფექციის ან კონტამინაციის წყაროების არსებობის თავიდან აცილებას (გადამტანებისა და რეზერვუარების ჩათვლით).

2. კონტეინერების დატვირთვის ადგილებში უნდა გატარდეს ღონისძიებები ინფექციის ან კონტამინაციის წყაროების არსებობის (გადამტანებისა და რეზერვუარების ჩათვლით) თავიდან ასაცილებლად.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც საკონტეინერო გადაზიდვების მოცულობა საკმაოდ დიდია, კომპეტენტური ორგანოები ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, კონტეინერებისა და მათი დატვირთვის ადგილების სანიტარიული მდგომარეობის შეფასების მიზნით

ახორციელებენ ყველა პრაქტიკულად შესასრულებელ ღონისძიებას, ინსპექტირების ჩატარების ჩათვლით.

4. კონტეინერების დატვირთვის ადგილებში უნდა არსებობდეს კონტეინერების ინსპექტირებისა და იზოლაციის საშუალებები.

5. კონტეინერების მიმღებმა და გამგზავნმა უნდა უზრუნველყონ ყველა შესაბამისი ზომის გატარება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჯვარედინი კონტამინაცია კონტეინერების მრავალჯერადი დატვირთვის შემთხვევაში.

თავი IV. სამედიცინო-სანიტარიული დოკუმენტები

მუხლი 16. ზოგადი წესი

თუ საერთაშორისო შეთანხმებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საერთაშორისო გადაზიდვების განხორციელებისას მოითხოვება მხოლოდ ამ დადგენილებითა და რეკომენდაციებით განსაზღვრული სანიტარიული დოკუმენტები. აღნიშნული მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ მგზავრებზე, რომელთა მიზანია, მიიღონ დროებითი ან მუდმივი ცხოვრების უფლება.

მუხლი 17. ვაქცინაციისა და სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებების საერთაშორისო მოწმობა

1. მგზავრების მიმართ გამოყენებული ვაქცინაციის და პროფილაქტიკური ღონისძიებების მოწმობა უნდა შეესაბამებოდეს №8 დანართში წარმოდგენილ მოწმობას, ხოლო კონკრეტული დაავადებისას – კონკრეტული დაავადების მიმართ გამოყენებული ვაქცინაციის და პროფილაქტიკური ღონისძიებების მოწმობას.

2. მგზავრს, რომელსაც აქვს №8 დანართის, ხოლო კონკრეტული დაავადებისას – შესაბამისი მოწმობა ვაქცინაციისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების შესახებ, არ შეიძლება უარი ეთქვას ქვეყანაში შემოსვლაზე ამ მოწმობაში მითითებული დაავადების მიზეზით, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მგზავრი შემოდის დასენიანებული ზონიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კომპეტენტურ ორგანოს აქვს მონაცემები და/ან ფაქტები იმის შესახებ, რომ ვაქცინაცია ან სხვა პროფილაქტიკური ღონისძიებები აღმოჩნდა არაეფექტური.

მუხლი 18. საზღვაო სამედიცინო-სანიტარიული დეკლარაცია

1. საქართველოს ტერიტორიაზე პირველ ნავსადგურში შესვლამდე გემის კაპიტანი არკვევს გემის ბორტზე არსებულ სამედიცინო-სანიტარიულ მდგომარეობას (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული არ მოითხოვება). გემის შემოსვლისთანავე ან წინასწარ (თუ ქვეყნის მიერ მოითხოვება აღნიშნული) გემის კაპიტანი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს წარუდგენს საზღვაო სამედიცინო-სანიტარიულ დეკლარაციას, რომელსაც ასევე ხელს აწერს გემის ექიმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. გემის კაპიტანი ან გემის ექიმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირის მოთხოვნით წარადგენს სრულ ინფორმაციას საერთაშორისო მგზავრობის განმავლობაში ბორტზე არსებული სამედიცინო-სანიტარიული მდგომარეობის შესახებ.

3. საზღვაო სამედიცინო-სანიტარიული დეკლარაცია უნდა შეესაბამებოდეს №5 დანართში წარმოდგენილ ნიმუშს.

მუხლი 19. საჰაერო ხომალდის საერთო დეკლარაციის სანიტარიული ნაწილი

1. საჰაერო ხომალდის ფრენისას ან საქართველოს ტერიტორიის პირველ აეროპორტში დაშვების შემდეგ საჰაერო ხომალდის მეთაური ან მისი წარმომადგენელი შესაძლებლობის ფარგლებში (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული არ მოითხოვება) ავსებს და სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს წარუდგენს საჰაერო ხომალ-დის საერთო დეკლარაციის სანიტარიულ ნაწილს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს №7 დანართში წარმოდგენილ ნიმუშს.

2. საჰაერო ხომალდის მეთაური ან მისი წარმომადგენელი, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირის მოთხოვნით, წარადგენს სრულ ინფორმაციას საერთაშორისო მგზავრობის განმავლობაში საჰაერო ხომალდზე არსებული სამედიცინო-სანიტარიული მდგომარეობისა და მის მიმართ გატარებული სამედიცინო-სანიტარიული ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 20. გემის სანიტარიული მოწმობები

1. გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლებისა და გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობის მოქმედების მაქსიმალური ვადა შეადგენს ექვს თვეს. თუ გათვალისწინებული ინსპექტირების ან კონტროლის ღონისძიებების განხორციელება ვერ ხერხდება გემის შემოსვლის ნავსადგურში, აღნიშნული ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ერთი თვით.

2. გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლებისა და გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობის წარუდგენლობის ან გემის ბორტზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის საფრთხის აღმოჩენის შესახებ მონაცემების არსებობის შემთხვევაში სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი მოქმედებს ამ ტექნოლოგიური სქემის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ამ მუხლში ნახსენები მოწმობები უნდა შეესაბამებოდეს №4 დანართში წარმოდგენილ ნიმუშს.

4. კონტროლის ღონისძიებები აგრეთვე გამოიყენება ცარიელი გემის მიმართ. ბალასტის მქონე გემზე აღნიშნული ღონისძიებები გამოიყენება მათ დატვირთვამდე.

5. კონტროლის დამაკმაყოფილებელი შედეგებით დასრულების შემთხვევაში სასაზღვრო ინსპექციის

პუნქტის უფლებამოსილი პირი გასცემს გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობას, რომელშიც აღინიშნება ინფორმაცია გამოვლენილი ფაქტებისა და გატარებული კონტროლის ღონისძიებების შესახებ.

6. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილ პირს შეუძლია გასცეს გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობა, თუ იგი დარწმუნდა, რომ გემი თავისუფალია ინფექციისა და კონტამინაციის წყაროებისაგან (გადამტანებისა და რეზერვუარების ჩათვლით). აღნიშნული მოწმობა, როგორც წესი, გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩატარებულია ცარიელი გემის ინსპექტირება ან თუ ტრიუმები გავსებულია ბალასტით ან სხვა ისეთი მასალით, რომლის ხასიათი და განთავსება იძლევა ტრიუმების სრულფასოვანი ინსპექტირების საშუალებას.

7. თუ კონტროლის ღონისძიებების ჩატარების პირობები ისეთია, რომ ამ პროცედურების განმახორციელებელი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირის აზრით, დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევა შეუძლებელია, იგი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობაში და ავსებს „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმას“ (დანართი №10) გამოვლენილი არადამაკმაყოფილებელი ფაქტის შესაბამისი კოდის მითითებით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №540 - ვებგვერდი, 13.12.2016წ.

თავი V. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 21. პასუხისმგებლობა

სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილი სამართალდარღვევისათვის პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი №2

სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც ამ დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემის“ ტერმინებს.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივლისის დადგენილება №268 – ვებგვერდი, 20.07.2012წ.

მუხლი 2

1. დაავადებების შემოტანის შეზღუდვისა და აღკვეთის მიზნით სატრანსპორტო საშუალებებზე სამედიცინო სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი ხორციელდება:

ა) რეკომენდაციების საფუძველზე;

ბ) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც სატრანსპორტო საშუალებაზე იმყოფება ავადმყოფი შემდეგი კლინიკური ნიშნებით: ცხელება ($38^{o}C$ და ზევით), დიარეა, პირღებინება, გამონაყარი, ლიმფური კვანძების გადიდება, სიყვითლე, სისხლჩაქცევები და სისხლდენები, ან აღმოჩნდა ინფექციის გამომწვევის გადამტანი ფეხსახსრიანები და მღრღნელები;

გ) გადმოცემული ინფორმაციის საფუძველზე, რომ სატრანსპორტო საშუალებაზე იმყოფება ავადმყოფი ან დაავადებაზე საეჭვო პირი ინფექციური დაავადების სიმპტომებით;

დ) დასენიანებული ქვეყნებიდან ეპიდსიტუაციის გართულების დროს შემოსულ ტრანსპორტზე, ეკიპაჟსა და მგზავრებზე;

ე) შერჩევით, ეპიდსიტუაციის დადგენის მიზნით.

2. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტები ინფორმაციას იღებენ ოპერატიულად, კერძოდ, სანაოსნო ტრანსპორტის შესახებ – გემის აგენტისაგან, პორტში შესვლამდე არანაკლებ 6 სთ-ით ადრე, თვითმფრინავის შესახებ – აეროპორტის საწარმოო სადისპეტჩერო სამსახურიდან, ჩამოფრენამდე 30 წუთით ადრე, ხოლო მატარებლის უფროსისა და საავტომობილო საშუალებისათვის პასუხისმგებელი პირებისაგან – საქართველოს საბაჟო საზღვარზე შესვლისას.

3. სამედიცინო სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის რეკომენდაციების თანახმად, დროებითი სქემით ხორციელდება უფლებამოსილ პირთა გამსვლელი ჯგუფების მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც სატრანსპორტო გადაზიდვები არარეგულარულია (დღე-ღამეში: აეროპორტებში – თვითმფრინავების ორი მოფრენა-გაფრენა, პორტებში – ერთი გემის შემოსვლა-გასვლა, 10-მდე ავტომობილის შემოსვლა-გასვლა).

4. საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული პირების, ყველა სახის სატრანსპორტო საშუალების კონტროლი ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) ქვეყნის ტერიტორიაზე დაავადების შემოტანის მაქსიმალურად შეზღუდვის მიზნით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე შემოსულ სატრანსპორტო საშუალებებზე (გარდა სახმელეთო ტრანსპორტისა), მგზავრებსა და

ეკიპაჟის წევრებზე ხორციელდება სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი, რომელიც წინ უსწრებს სახელმწიფო კონტროლის ყველა სხვა სახეს;

ბ) ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების შესაბამისად შემოსული სატრანსპორტო საშუალებებისათვის (გარდა სახმელეთო ტრანსპორტისა), ეკიპაჟის წევრებისა და მგზავრებისათვის თავისუფალ ურთიერთობაზე თანხმობის მიცემა, ასევე საბაჟო საზღვარზე არსებული სხვა სამსახურების წარმომადგენლებთან.

5. საზღვაო პორტებსა და აეროპორტებში, ამ მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი ღონისძიებების გარდა, დამატებით ხორციელდება:

ა) ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების შესაბამისად სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირების მიერ, რომლებიც უზრუნველყოფენ სამედიცინო სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლს, სატრანსპორტო საწარმოს ადმინისტრაციის ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრისათვის თანხმობის გაცემა დასენიანებული ქვეყნიდან მომავალი გემის ან თვითმფრინავის თავისუფალ ურთიერთობებზე პორტთან ან აეროპორტთან, თუ გემის ან თვითმფრინავის ჩამოსვლამდე (არა უგვიანეს 30 წუთით ადრე) მიღებული შეტყობინების საფუძველზე დაავადებების შემოტანის საშიშროება არ არის;

ბ) გემის კაპიტანმა რეისის გზაზე უახლოესი პორტის ან დანიშნულების პორტის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს:

ბ.ა) ბორტზე მგზავრებს ან ეკიპაჟის წევრებს (მათ შორის – გემიდან ჩასული პირები) შორის გარდაცვლილის ან დაავადების ნებისმიერი შემთხვევის შესახებ 15 დღის განმავლობაში ჩასვლის დღის გათვალისწინებით, ან საქართველოს პორტიდან გამოსვლის დღიდან გასული პერიოდის განმავლობაში (რომელი პერიოდიც უფრო მოკლეა);

ბ.ბ) რადიოთი ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით 24 სთ-ით ადრე ჩასვლამდე მგზავრებსა და ეკიპაჟის წევრებს შორის დიარეის შემთხვევათა რიცხვი (მათ შორის – ნული), რაც აღნიშნულია გემის სამედიცინო ჟურნალში მიმდინარე კრუიზის განმავლობაში;

ბ.გ) დიარეის ყველა შემთხვევა, რომელსაც ადგილი ექნება 24 სთ-ით ადრე გაგზავნილი შეტყობინების შემდეგ, ჩასვლამდე არა უგვიანეს 4 სთ-ით ადრე;

გ) თვითმფრინავის კაპიტანმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს თავისი რეისის გზაზე უახლოესი აეროპორტის ან დანიშნულების აეროპორტის სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს ბორტზე მგზავრებსა და ეკიპაჟის წევრებს შორის გარდაცვალების ან ავადმყოფობის ნებისმიერი შემთხვევის შესახებ.

6. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციიდან ან რეკომენდაციებით მიღებული ოპერატიული ინფორმაციების საფუძველზე სხვა ქვეყნებში ეპიდემიოლოგიური სიტუაციების გამწვავებისას სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებზე მკაცრდება სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი.

7. საქართველოს ტერიტორიიდან პირების გასვლისას სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი არ ვრცელდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭიროა:

ა) ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული ქვეყნებისათვის ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინაციის ან რევაქცინაციის საერთაშორისო მოწმობის შემოწმება; ხოლო

ბ) სხვა ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარებაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციიდან მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე.

8. საქართველოს ტერიტორიიდან სატრანსპორტო საშუალებების გასვლისას ხორციელდება:

ა) საზღვაო პორტებში – გემის სანიტარიულ-საკარანტინო დათვალიერების შემდეგ თანხმობის გაცემა თავისუფალ ცურვაზე;

ბ) აეროპორტებში – სანიტარიულ-საკარანტინო დათვალიერების შემდეგ თანხმობის გაცემა საერთაშორისო რეისის შესრულებაზე, თვითმფრინავის საერთო დეკლარაციის სანიტარიული ნაწილის გაფორმებით მასში საჭიროების შემთხვევაში პროფილაქტიკური დეზინფექციის ან სხვა ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების შესახებ აღნიშვნით;

გ) საავტომობილო და სარკინიგზო გადასასვლელებზე – სანიტარიულ-საკარანტინო დათვალიერება არ ხორციელდება, თუ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს არ გააჩნია შესაბამისი რეკომენდაცია.

9. დაავადებული ადამიანის გვამის შემოტანა საქართველოს საბაჟო საზღვარზე არ შეიძლება, თუ მას თან არ ახლავს საერთაშორისო წესების შესაბამისად ბალზამირების შესახებ ამსახველი ინფორმაცია, არ არის მოთავსებული ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში ან კრემირებული, და განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შემთხვევებში (რაც ასევე დასტურდება თანმხლები დოკუმენტაციის მიხედვით) – არ არის შეთანხმებული ცენტრთან.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივლისის დადგენილება №268 – ვებგვერდი, 20.07.2012წ.

თავი II. გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობა და მისი შევსების წესი

მუხლი 3

1. გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობა (დანართი №4 (შემდგომში – მოწმობა) – არის დოკუმენტი, რომელიც ეხმარება ქვეყნებს მცურავი საშუალებების საერთაშორისო გადაადგილებისას მინიმუმამდე დაიყვანონ დაავადების საერთაშორისო

გავრცელების რისკი.

2. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილ პირს შეუძლია გასცეს მოწმობა, თუ იგი დარწმუნდა, რომ გემი თავისუფალია ინფექციისა და კონტამინაციის წყაროებისაგან (გადამტანებისა და რეზერვუარების ჩათვლით). აღნიშნული მოწმობა, როგორც წესი, გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩატარებულია ცარიელი გემის ინსპექტირება, ან თუ ტრიუმები გავსებულია ბალასტით ან სხვა ისეთი მასალით, რომლის ხასიათი და განთავსება იძლევა ტრიუმების სრულფასოვანი ინსპექტირების საშუალებას.

3. მოწმობა მოეთხოვება ყველა გემს, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ცურვისათვის განკუთვნილებს, როდესაც ისინი შემოდიან პორტში საერთაშორისო მიმოსვლის შემდეგ. მოწმობა შეიძლება განახლდეს ყველა პორტში, რომელსაც უფლებამოსილება აქვს მონაწილე სახელმწიფოს მიერ.

4. გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ გემზე აღმოჩნდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის საშიში რისკები (ინფექციისა და კონტამინაციის წყარო, გადამტანებისა და რეზერვუარების ჩათვლით) და ჩატარებული პროცედურებით მიღწეულია დამაკმაყოფილებელი შედეგები. აღმოჩენილი რისკები და გატარებული ღონისძიებები უნდა აისახოს მოწმობასა და „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმაში“ (დანართი №10).

5. იმ შემთხვევაში, როდესაც სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირის მიერ დასახული პროცედურები სასურველ შედეგს არ იძლევა, უფლებამოსილი პირი მოწმობაში აკეთებს შესაბამის აღნიშვნას ყველა იმ ფაქტის შესახებ, რომლებიც წარმოადგენს რისკს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის, ასევე იმ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მიღებული უნდა იქნეს შემდგომი შესვლის პორტში. გემის გასვლისას სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირი დაუყოვნებლივ ატყობინებს შემდგომი დანიშნულების პორტს გემის გასვლის, გამოვლენილი ფაქტებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ (განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის საშიში რისკები, რომელებიც გამოიწვევს დაავადების გავრცელებას საერთაშორისო მასშტაბით, ან როდესაც აღნიშნული რისკი წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის საშიშ, გარდაუვალ და სერიოზულ საფრთხეს).

6. გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების მოწმობა გაიცემა იმ შემთხვევაში, როდესაც სასა-ზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგები დამაკმაყოფილებელია (არ აღმოჩნდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის საშიში რისკები).

7. გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების მოწმობის გაგრძელება 1 თვით შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სასაზღვრო ინსპექციის პუნქტში შეუძლებელია სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის პროცედურების ჩატარება და არ არსებობს რისკი საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის.

8. გემზე შესაბამისი ღონისძიებები ტარდება მას შემდეგ, რაც ყველა დაინტერესებული მხარე (გემის კაპიტანი, აგენტი და სხვ.) ინფორმირებული იქნება გამოსაყენებელი მეთოდების შესახებ. ისეთი ძირითადი ღონისძიებები, როგორებიცაა კარანტინში მოთავსება საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის საეჭვო ან უშუალო რისკებისას, უნდა გადაწყდეს დროულად პორტის პასუხისმგებელი პირის თანამონაწილეობით, რომელიც არეგულირებს გემების გადაადგილებას. ყველა შემთხვევაში კონტროლის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ისეთი სახით, რომ თავიდან იქნეს აცილებული პიროვნებებისთვის დისკომფორტის შექმნა (მათ შორის – მათი ღირსების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გათვალისწინებით) და ზიანის მიყენება გემის, ბარგის, ტვირთებისა და კონტეინერებისათვის.

9. სავალდებულოა, რომ საერთაშორისო მიმოსვლისათვის განკუთვნილი მცურავი საშუალება იმყოფებოდეს ისეთ მდგომარეობაში, სადაც მაქსიმალურად შემცირებული იქნება საერთაშორისო მასშტაბით დაავადების გავრცელების რისკი. საერთაშორისო ჯანმრთელობის წესების შესაბამისად სასაზღვრო ინსპექციის პუნქტმა უნ-და განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება ამ წესების თანახმად, რათა გემის კაპიტნებმა ყოველთვის უზრუნველყონ იფექციის, კონტამინაციის, გადამტანების და რეზერვუარების არარსებობა.

10. ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების თანახმად, გემის კაპიტანი ვალდებულია ითანამშრომლოს სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილ პირთან:

ა) ტვირთის, კონტეინერების და გემის ინსპექტირების ჩატარებაში;

ბ) საჭიროებისას მგზავრებისა და ეკიპაჟის წევრების სამედიცინო გამოკვლევაში;

გ) ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების თანახმად დადგენილ სხვა სამედიცინო-სანიტარიულ ღონისძიებათაAჩატარებაში;

დ) სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს წარუდგინოს შესაბამისი საზღვაო სამედიცინო-სანიტარიული დეკლარაცია (დანართი №5) და სხვა შესაბამისი დოკუმენტები (მოწმობა, გენერალური დეკლარაცია და სხვა საჭირო დოკუმენტები);

ე) დაუყოვნებლივ აცნობოს ნებისმიერი ავადმყოფობის გამოვლინება, რომელიც შესაძლებელია გამოწვეული იყოს ინფექციური აგენტით ან სხვა მდგომარეობით, რომელიც რისკს უქმნის ან შესაძლოა უქმნიდეს საზოგადოებრივ ჯანმრთელობას.

11. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს გემზე დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და დეკონტამინაციის ჩატარება, თუ ბორტზე აღინიშნება დაავადების კლინიკური ნიშნები (სიმპტომები) ან რეზერვუარები, რომლებიც საშიშია საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის. ასევე, დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს შეუძლია მიიღოს დამატებითი ზომები გემის იზოლაციის ჩათვლით. დამატებითი ღონისძიებების გატარებისას (როგორიცაა იზოლაცია), როდესაც შესაძლოა დაავადების გავრცელება საერთაშორისო

მასშტაბით, აუცილებელია დაუყოვნებლივ ინფორმაციის მიწოდება ეროვნული კოორდინატორისათვის.

12. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს უნდა გააჩნდეს იმ კომპანიების ან დაწესებულებების სია, რომელთაც შეუძლიათ დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და დეკონტამინაციის ჩაატარება.

13. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირი, კონტროლის შედეგებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია გემიდან, საქონლიდან, ეკიპაჟის წევრებიდან, მგზავრებიდან მოითხოვოს სინჯის (საანალიზო მასალის) აღება და ლაბორატორიული ანალიზი, რათა თავიდან იქნეს აცილებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის საშიში დაავადებების შემოტანა/გავრცელება.

14. გემის ოპერატორმა აუცილებლად უნდა მოითხოვოს პორტის შესაბამისი სამსახურის მიერ ბორტზე აღებული წყლის ნიმუშის ანალიზის პასუხი და წყლის უსაფრთხოების მოწმობა. ბორტზე არსებული ხელსაწყოებით (საკონტროლო-გამზომი) შეიძლება განხორციელდეს წყლის დამატებითი შემოწმება.

15. გემზე ქიმიური და რადიოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკების გამოვლენისას პროცედურებში ერთვებიან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №540 - ვებგვერდი, 13.12.2016წ.

მუხლი 4

1. მოწმობა შეიცავს 2 ნაწილს:

ა) ნიმუში, რომელშიც მითითებულია გემის ძირითადი სათავსები, რომლებიც ექვემდებარება ინსპექტირებას; და

ბ) დამატება, სადაც ჩამოთვლილია კვების, წყალმომარაგების, ნარჩენების მოცილების, საცურაო აუზების/ჰიდრომასაჟის აბაზანების, სამედიცინო-სანიტარიული სამსახურის და სხვა სათავსები, რომლებიც საჭიროებენ გულდასმით ინსპექტირებას გემის ზომისა და ტიპის მიხედვით.

2. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის მიერ გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობა გაიცემა გემის კაპიტნის (აგენტის ან სხვა პირის) განაცხადის საფუძველზე.

3. გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობის გაცემის მიზნით, უფლებამოსილი პირი ადის გემზე და ამოწმებს შემდეგ უბნებს:

ა) კამბუზი;

ბ) სურსათის სათავსი;

გ) საწყობის ნაკვეთური;

დ) ტრიუმები/სატვირთო სათავსები;

ე) საცხოვრებელი სათავსები (ეკიპაჟისათვის, სამეთაურო შემადგენლობისათვის, მგზავრებისათვის);

ვ) გემბანი (სასმელი წყალი, ჩამდინარი წყლები, საბალასტე ნაკვეთური, მდგარი წყალი);

ზ) სამანქანო განყოფილება;

თ) მყარი და სამედიცინო ნარჩენები;

ი) სანიტარიული სამსახური (აღჭურვილობა და სამედიცინო მოწყობილობა, ფუნქციონირება, სამკურნალო საშუალებები);

კ) კვების სამსახური (წყარო, შენახვა, მომზადება, მომსახურება);

ლ) წყალმომარაგების სისტემა (წყარო, შენახვა, განაწილება);

მ) ნარჩენების მოცილების სისტემა (შენახვა, დამუშავება, მოცილება);

ნ) საცურაო აუზები/ჰიდრომასაჟების აბაზანები (მოწყობილობა, ფუნქციონირება);

ო) სხვა უბნები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უბნების შემოწმებისას, როდესაც არ იქნება გამოვლენილი საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის საშიში რისკები (დაავადების გამომწვევი, გადამტანები, რეზერვუარები, ინფექციური აგენტი და სხვა, რომლებიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ჯანმრთელობას) უფლებამოსილი პირი გასცემს სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების მოწმობას. დარღვევების არსებობისას უფლებამოსილი პირი კაპიტანს (აგენტს ან მათ წარმომადგენელს) მიუთითებს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ და მისი აღმოფხვრის შემდგომ, მოწმობაში სათანადო აღნიშვნების შეტანით გასცემს „სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობას“.

5. დარღვევების არსებობისას, უფლებამოსილი პირი დამატებით ავსებს „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმას“ (დანართი №10), „ჯანმრთელობის საერთაშორისო წესებზე“ დაფუძნებული „გემის ინსპექტირება და გემის სანიტარიული სერტიფიკატის გაცემის“ სახელმძღვანელოს მიხედვით, გამოვლენილი არადამაკმაყოფილებელი ფაქტის შესაბამისი კოდის მითითებით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №540 - ვებგვერდი, 13.12.2016წ.

თავი III.საჰაერო ხომალდები შემოსასვლელ პუნქტებში

მუხლი 5

1. საჰაერო ხომალდის ფრენისას ან საქართველოს ტერიტორიის პირველ აეროპორტში დაშვების შემდეგ საჰაერო ხომალდის მეთაური ან მისი წარმომადგენელი შესაძლებლობის ფარგლებში (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული არ მოითხოვება) ავსებს და სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს წარუდგენს საჰაერო ხომალდის საერთო დეკლარაციის სანიტარიულ ნაწილს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს №7 დანართში

წარმოდგენილ ნიმუშს.

2. საჰაერო ხომალდის მეთაური ან მისი წარმომადგენელი, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირის მოთხოვნით, წარადგენს სრულ ინფორმაციას საერთაშორისო მგზავრობის განმავლობაში საჰაერო ხომალდზე არსებული სამედიცინო-სანიტარიული მდგომარეობისა და მის მიმართ გატარებული სამედიცინო-სანიტარიული ღონისძიებების შესახებ.

3. საჰაერო ხომალდის მეთაური ან მისი წარმომადგენელი რეისში ყოფნისას ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებებზე სანიტარიული წესების, სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, რომლებიც მიმართულია ეკიპაჟის წევრთა და მგზავრთა ჯანმრთელობის დაცვისაკენ;

ბ) სასაზღვრო ინსპექციის პუნქტს დაუყოვნებლივ აცნობოს სატრანსპორტო საშუალებაზე ეკიპაჟის წევრებს ან მგზავრებს შორის ინფექციურ დაავადებაზე საეჭვო პირის ან დაავადების გამომწვევი აგენტების, გადამტანებისა და რეზერვუარების შესახებ;

გ) მგზავრობის დროს ინფექციურ დაავადებაზე საეჭვო პირების გამოვლენისას აუცილებელია ჩატარდეს პირველადი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მათ შორის: ასეთი პირების დროებითი იზოლაცია; დაავადებულისთვის პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა დანიშნულების აეროპორტის ან უახლოესი აეროპორტის სამედიცინო დაწესებულების კონსულტაციით; სატრანსპორტო საშუალებაზე მყოფი პირების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე დაკვირვება; ავადმყოფებისა და აღმოჩენილი მკვდარი მღრღნელებისგან მასალის აღება, შენახვა და მიწოდება ლაბორატორიული კვლევისათვის.

თავი IV. სატვირთო ავტომობილები, სატვირთო და სამგზავრო მატარებლები და ავტობუსები შემოსასვლელ პუნქტებში

მუხლი 6

1. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებში სატვირთო ავტომობილების, სატვირთო და სამგზავრო მატარებლების და ავტობუსების მიმართ სანიტარიული ღონისძიებები ხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების თანახმად, რომლებიც აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს.

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულება სავალდებულოა სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებისათვის.

3. რეკომენდაციები უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოთხოვნის თანახმად, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტები ახორციელებენ დასენიანებული რეგიონიდან ჩამოსულ მგზავრთა აღრიცხვას №9 დანართის შესაბამისად.

თავი V. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდულ პირს – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა, როგორც IHR-2005-ის ეროვნულ კოორდინატორსა, და სამსახურს შორის „ურთიერთქმედების წესი“

მუხლი 7

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდული პირი – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ეროვნული ცენტრი) შემოსავლების სამსახურის ცენტრალური აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს ელექტრონულად ან მონაცემთა გადაცემის სხვა საშუალებით რეგულარულად და აუცილებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აწვდის:

ა) ინფორმაციას მსოფლიოში გავრცელებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიში დაავადებების შესახებ;

ბ) კონკრეტული დაავადების წინააღმდეგ გასატარებელ რეკომენდაციებს;

გ) სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო სხვა მონაცემებს.

2. ეროვნულ ცენტრს (ინფორმაციის მიწოდების ვადას შემოსავლების სამსახური და ეროვნული ცენტრი განსაზღვრავენ ურთიერთშეთანხმებით) მიეწოდება:

ა) ინფორმაცია დასენიანებული რეგიონიდან ჩამოსული მგზავრების შესახებ;

ბ) ინფორმაცია სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას.

3. შემოსავლების სამსახურისა და ეროვნული ცენტრის ურთიერთშეთანხმებით სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების პროცესში, განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლებელია მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

თავი VI. საკარანტინო და სხვა საშიშ დაავადებებზე დაინფიცირებულ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების გამგზავრებისას ჩასატარებელი სპეციალური ღონისძიებები

მუხლი 8

1. საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც მიემგზავრებიან დაინფიცირებულ ქვეყნებში, რეკომენდაციების თანახმად, სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებში აუცილებელია ისინი გაფრთხილებულ იქნენ:

ა) სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და დაავადებების რისკის არსებობის შესახებ, სადაც ისინი მიემგზავრებიან;

ბ) აგრეთვე დაავადებათა სიმპტომების, პირადი პროფილაქტიკისა და დაავადების შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

2. იმ ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა ტერიტორიებზე გამგზავრებისას საქართველოს მოქალაქეებს მოეთხოვებათ დაავადებებისა და სხვა ინფექციების საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რომელთაც ითხოვენ სხვა სახელმწიფოები, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციების თანახმად, დგინდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ და მიეწოდება შემოსავლების სამსახურს, აგრეთვე ორგანიზაციებს, რომლებიც აგზავნიან მოქალაქეებს საზღვარგარეთ.

3. ორგანიზაციები, რომლებიც მოქალაქეებს აგზავნიან დაავადებათა ბუნებრივი ენდემიური კერების მქონე ქვეყნებში, ინახავენ მონაცემებს მოქალაქეების შესახებ (სიებს) ინფიცირებულ რაიონებში მათი იქ ყოფნის დროის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში.

თავი VII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 9. პასუხისმგებლობა

სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილი სამართალდარღვევისათვის პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი №3

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივლისის დადგენილება №268 – ვებგვერდი, 20.07.2012წ.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება №420 – ვებგვერდი, 11.10.2012წ.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 9 ნოემბრის დადგენილება №446 - ვებგვერდი, 19.11.2012წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის დადგენილება №378 - ვებგვერდი, 13.06.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ნოემბრის დადგენილება №600 - ვებგვერდი, 02.12.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება №460 - ვებგვერდი, 11.10.2017წ.

საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი საზღვაო პორტების, აეროპორტების, სახმელეთო სასაზღვრო გადასასვლელების – სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების ნუსხა, სადაც ხორციელდება სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი

საზღვაო პორტები, აეროპორტები, რკ/გ სადგურები, სახმელეთო გადასასვლელები	**საბაჟო გამშვები პუნქტი**
საზღვაო ტრანსპორტზე	
„ფოთისა და ყულევის პორტები“	„ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“
„ბათუმის პორტი“	„ბათუმის პორტი“
საჰაერო ტრანსპორტზე	
„თბილისის აეროპორტი“	„თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“
„ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები“	„ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული და ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები“
„ბათუმის აეროპორტი“	„ბათუმის აეროპორტი“
სარკინიგზო ტრანსპორტზე	
„გარდაბანი“	„გარდაბანი“
„სადახლო რკინიგზა“	„სადახლო-სარკინიგზო“
„კარწახი-ახალქალაქი სარკინიგზო“	„კარწახი-ახალქალაქი სარკინიგზო“

საავტომობილო ტრანსპორტზე	
„წითელი ხიდი“	„წითელი ხიდი“
„გუგუთი“	„გუგუთი“
„სადახლო“	„სადახლო-საავტომობილო“
„ლაგოდეხი“	„ლაგოდეხი“
„ვალე“	„ვალე“
„ნინოწმინდა“	„ნინოწმინდა“
„ყაზბეგი“	„ყაზბეგი“
„სარფი“	„სარფი“
„მტკვარი“	„მტკვარი“
„ახკერპი“	„ახკერპი“
„სამთაწყარო“	„სამთაწყარო“
„კარწახი“	„კარწახი“

დანართი №4

მოწმობა გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/მოწმობა გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების შესახებ

SHIP SANITATION CONTROL EXEMPTION CERTIFICATE/SHIP SANITATION CONTROL CERTIFICATE

პორტი (Port of) ---------- ინსპექტირების თარიღი (Date) ----------
ეს მოწმობა ადასტურებს ინსპექციის ჩატარებისა და (1) კონტროლისაგან გათავისუფლების ან (2) ჩატარებული საკონტროლო ღონისძიებების ფაქტს
This Certificate records the inspection and (1) exemption from control or (2) control measures applied
საზღვაო ხომალდის დასახელება (Name of ship or inland navigation vessel) ----------
დროშა (Flag) ---------- სარეგისტრაციო Registration/IMO No № ----------
ინსპექტირების ჩატარების მომენტისათვის ტრიუმები იყო ცარიელი/დატვირთული ----------
ტონა ტვირთით At the time of inspection the holds were unladen/laden with ..tonnes of ...cargo)
ინსპექტირების ორგანოს დასახელება და მისამართი (Name and address of inspecting officer)

მოწმობა სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების შესახებ
Ship Sanitation Control Exemption Certificate

შემოწმებული უბნები (სისტემები, სამსახურები) Areas , [systems, and services] inspected	**გამოვლენილი ფაქტები* Evidence found1**	**სინჯების ანალიზის რეზულტატი** Sample results2**	**დოკუმენტაციის შემოწმება Documents reviewed**
კამბუზი Galley			სამედიცინო ჟურნალი Medical log
სურსათის სათავსი Pantry			გემის ჟურნალი Ship's log
საწყობის ნაკვეთური Stores			სხვა Other
ტრიუმები/სატვირთო სათავსები Hold(s)/cargo			
საცხოვრებელი სათავსები: Quarters:			
– ეკიპაჟისათვის- crew			

მოწმობა სანიტარიუ
Ship Sanitat

გატარებული კონტროლის ღონისძიებები control measures applied	**გ**

– სამეთაურო შემადგენლობისათვის - officers						
– მგზავრებისათვის- passengers						
– გემბანი- deck						
– სასმელი წყალი Potable water						
– ჩამდინარი წყლები Sewage						
– საბალასტე ნაკვეთური Ballast tanks						
– მყარი და სამედიცინო ნარჩენები Solid and medical waste						
– მდგარი წყალი Standing water						
– სამანქანო განყოფილება Engine room						
– სანიტარიული სამსახური Medical facilities						
– სხვა კონკრეტული უბნები. იხ. დამატება Other areas specified -see attached						
– უბნები, რომლებიც არ ექვემდებარებიან შემოწმებას. აღინიშნოს `ა/ე“ Note areas not applicable, by marking N/A.						

მტკიცებულება გამოვლენილი არაა. გემი თავისუფლდება სანიტარიული კონტროლის ღონისძიებებისაგან.
No evidence found. Ship/vessel is exempted from control measures

ღონისძიებები გატარდა
დროს
Control measures indicate

თანამშრომლის გვარი და თანამდებობა ——— **ხელმოწერა და შტამპი** ———
Name and designation of issuing officer Signature and seal

თარიღი ———
Date

1 (ა) ინფექციის ან კონტამინაციის მტკიცებულება, მათ შორის: გადამტანები განვითარების ნებისმიერ სტადიაზე, გადამტანების რეზერვუარები-ცხოველები, მღრღნელები ან სხვა სახეობის ცხოველები, რომელთაც შეუძლიათ იყონ ადამიანის დაავადებათა მტარებელი, მიკრობიოლოგიური, ქიმიური და რისკის სხვა ფაქტორები ადამიანის ჯანმრთელობისათვის, სანიტარიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების არაადეკვატურობის ნიშნები; (ბ) ინფორმაცია ადამიანების დაავადებასთან დაკავშირებული ყველა შემთხვევის შესახებ (მიეთითება საზღვაო სანიტარიულ დეკლარაციაში). 1 (a) Evidence of infection or contamination, including: vectors in all stages of growth; animal reservoirs for vectors; rodents or other species that could carry human disease, microbiological, chemical and other risks to human health; signs of inadequate sanitary measures. (b) Information concerning any human cases (to be included in the Maritime Declaration of Health).

2** გემის ბორტზე აღებული სინჯების ანალიზის რეზულტატი. ანალიზის რეზულტატი უნდა წარედგინოს გემის კაპიტანს ყველაზე სწრაფი საშუალებებით და თუ მოითხოვება განმეორებითი ინსპექცია – შემდეგი შესვლის პორტში, მოწმობაში მითითებული განმეორებითი ინსპექციის ვადისათვის. 2 Results from samples taken on board. Analysis to be provided to ship's master by most expedient means and, if re-inspection is required, to the next appropriate port of call coinciding with the re-inspection date specified in this certificate.

სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/სანიტარიული კონტროლის ჩატარების შესახებ მოწმობის მაქსიმალური მოქმედების ვადა შეადგენს ექვს თვეს, თუმცა ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ერთი თვით, თუ ინსპექცია არ შეიძლება განხორციელდეს პორტში და როდესაც არ არსებობს ინფექციისა და კონტამინაციის მტკიცებულება.

Sanitation Control Exemption Certificates and Sanitation Control Certificates are valid for a maximum of six months, but the validity period may be extended by one month if inspection cannot be carried out at the port and there is no evidence of infection or contamination.

დამატება მოწმობაზე სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/მოწმობაზე სანიტარიული კონტროლის ჩატარების შესახებ

ATTACHMENT TO MODEL SHIP SANITATION CONTROL EXEMPTION CERTIFICATE/SHIP SANITATION CONTROL CERTIFICATE

შემოწმებული უბნები/სამსახურები/სისტემები Areas/facilities/systems inspected	გამოვლენილი ფაქტები Evidence found	სინჯების ანალიზის რეზულტატი Sample results	შესწავლილი დოკუმენტაცია Documents reviewed	გამოყენებული საკონტროლო ღონისძიებები Control measures applied	განმეორე ინსპექც თარიღი inspecti date
კვების სამსახური Food					

წყარო Source					
შენახვა Storage					
მომზადება Preparation					
მომსახურება Service					
წყალმომარაგების სისტემა Water					
წყარო Source					
შენახვა Storage					
განაწილება Distribution					
ნარჩენების მოცილების სისტემა Waste					
შენახვა Holding					
დამუშავება Treatment					
მოცილება Disposal					
საცურაო აუზები/ჰიდრომასაჟების აბაზანები Swimming pools/spas					
მოწყობილობა Equipment					
ფუნქციონირება Operation					
სანიტარიული სამსახური Medical facilities					
აღჭურვილობა და სამედიცინო მოწყობილობა Equipment and medical devices					
ფუნქციონირება Operation					
სამკურნალო საშუალებები Medicines					
სხვა შემოწმებული უბნები Other areas inspected					

– უბნები, რომლებიც არ არსებობს. აღინიშნოს `N/A“ Indicate when the areas listed are not applicable by marking N/A.

საზღვაო სამედიცინო-სანიტარიული დეკლარაცია

AMARITIME DECLARATION OF HEALTH

შევსებული და წარდგენილი უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოებისადმი უცხო ქვეყნებიდან შ კაპიტნების მიერ To be completed and submitted to the competent authorities by the masters of ships ar ports.

წარდგენილია პორტში Submitted at the port---------- თარიღი of Date ----------

--

გემის ან შიდა ცურვის ხომალდის დასახელება Name of ship or inland navigation vessel ---------- რეგისტრაციის Registration№ ---------- შემოსული arriving from ---------- მიემართება----------

(ქვეყანა) Nationality ---------- გემის დროშა Flag of vessel----------

კაპიტნის გვარი Master's name ----------

გემის ბრუტო რეგისტრული ტონაჟი gross tonnage (ship)---------- ტონაჟი (შიდა ცუ Tonnage (inland navigation vessel)…----------

არის თუ არა ბორტზე მოწმობა სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/სანიტარიუ ჩატარების შესახებ? Valid Sanitation Control Exemption/Control Certificate carried on board?

კი yes ---------- არა no ---------- გაცემული-------- Issued at თარიღი--------- date

საჭიროა თუ არა განმეორებითი ინსპექცია Re-inspection required ? კი yes ---------- არა

იყო თუ არა შესული გემი ჯანმო-ს მიერ განსაზღვრულ დასენიანებულ არეალში Has ship/vessel
area identified by the World Health Organization? კი yes ---------- არა no ----------

პორტი და მასში შესვლის თარიღი Port and date of visit ----------

ჩამოთვალეთ საერთაშორისო გადაზიდვის დაწყებიდან ან ბოლო 30 დღის განმავლობაში (იმისდ
რომელი პერიოდია უფრო მოკლე) გავლილი პორტები, გამგზავრების თარიღების ჩვენებით: (List
commencement of voyage with dates of departure, or within past thirty days, whichever is shorter:)

შემოსვლის პორტის კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნით წარადგინეთ სია ეკიპაჟის წევრები
სხვა პირების, რომლებმაც მოახდინეს გემზე ასვლა საერთაშორისო გადაზიდვის დაწყებიდან ან
დღის განმავლობაში (იმისდა მიხედვით, თუ რომელი პერიოდია უფრო მოკლე) ყველა პორტის/ქ
რომელშიც იმყოფებოდნენ ამ პერიოდში (დამატებითი გვარები იხ. თანდართული სიით): (Up
competent authority at the port of arrival, list crew members, passengers or other persons who have joine
international voyage began or within past thirty days, whichever is shorter, including all ports/countries vi
(add additional names to the attached schedule):

(1) გვარი Name ---------- მგზავრობა joined from: (1) - (2) ---------- ში (3) ---------- ში
ში

(2) გვარი Name ---------- მგზავრობა joined from: (1) - (2) ---------- ში (3) ---------- ში
ში

(3) გვარი Name ---------- მგზავრობა joined from: (1) - (2) ---------- ში (3) ---------- ში
ში

ეკიპაჟის წევრების რაოდენობა ბორტზე (Number of crew members on board)

მგზავრების რაოდენობა ბორტზე (Number of passengers on board) ----------
---

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შეკითხვები

Health questions

(1) გარდაიცვალა თუ არა ვინმე ბორტზე საერთაშორისო რეისის შესრულებისას რაიმე მიზეზით,
შემთხვევისა Has any person died on board during the voyage otherwise than as a result of accident?

კი yes ------ არა no ------ თუ კი – მიუთითეთ დაწვრილებითი მონაცემები თანდართულ დამატებაშ
საერთო ოდენობა If yes, state particulars in attached schedule. Total no. of deaths ----------

(2) არის თუ არა ბორტზე, ან ჰქონდა თუ არა ადგილი საერთაშორისო მგზავრობისას რაიმე დაავად
რაზეც ეჭვობთ, რომ ინფექციური ბუნების იყო? Is there on board or has there been during the intern
case of disease which you suspect to be of an infectious nature?

კი yes ---------- არა no ---------- თუ კი – მიუთითეთ დაწვრილებითი მონაცემები თანდართუ
yes, state particulars in attached schedule.

(3) იყო თუ არა დაავადებულ მგზავრთა საერთო რაოდენობა საერთაშორისო
ჩვეულებრივზე/მოსალოდნელზე უფრო ბევრი Has the total number of ill passengers during the voyage
normal/expected? კი yes ---------- არა no ---------- რამდენია ავადმყოფი? How many ill p

(4) იმყოფება თუ არა ამ დროისათვის ბორტზე ავადმყოფი პირი? Is there any ill person on board no
არა no ----------

თუ კი, მიუთითეთ დაწვრილებითი მონაცემები თანდართულ დამატებაში If yes, state particulars in a

(5) იყო თუ არა კონსულტირებული ექიმის მიერ? Was a medical practitioner consulted? კი yes ---------
----------თუ კი, მიუთითეთ დაწვრილებითი მონაცემები სამედიცინო მკურნალობის ან რეკომენ
თანდართულ დამატებაში. If yes, state particulars of medical treatment or advice provided in attached sch

(6) არის თუ არა თქვენთვის ცნობილი ბორტზე რაიმე მდგომარეობის შესახებ, რომელსაც შეუძ
ინფიცირებამდე ან დაავადების გავრცელებამდე? Are you aware of any condition on board which may

spread of disease? კი yes ---------- არა no ----------თუ კი, მიუთითეთ დაწვრილებითი მონაცემ
დამატებაში If yes, state particulars in attached schedule.

(7) იყო თუ არა ჩატარებული ბორტზე რაიმე სანიტარიული ღონისძიებები (მაგალითად, კარან
დეზინფექცია ან დეკონტამინაცია)? Has any sanitary measure (e.g. quarantine, isolation, disinfection o
been applied on board კი yes ---------- არა no ----------. თუ კი, მიუთითეთ ტიპი, ადგილი
specify type, place and date .

(8) იყო თუ არა ბორტზე აღმოჩენილი რომელიმე უბილეთო მგზავრები Have any stowaways been
yes? ---------- არა no ----------. თუ კი, მიუთითეთ როდის ამოვიდნენ ისინი გემზე (თუ ცნობილი
they join the ship (if known)?

(9) არის თუ არა ბორტზე რომელიმე ავადმყოფი ცხოველი ან ოთახის ცხოველები Is there a sick anim
კი yes ---------- არა no ----------

<u>**შენიშვნა:**</u> ექიმის არარსებობის შემთხვევაში გემის კაპიტანმა ინფექციური ხასიათის დაავადებაზ
საფუძვლად უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი სიმპტომებით: Note: In the absence of a surgeon, the m
the following symptoms as grounds for suspecting the existence of a disease of an infectious nature:

ა) ცხელება, რომელიც გრძელდება რამდენიმე დღე ან მიმდინარეობს: (I) დაუძლურებით, (II) გონ
(III) ჯირკვლების შესიებით, (IV) სიყვითლით, (V) ხველებით, (VI) უჩვეულო სისხლდენით
თანხლებით; (a) fever, persisting for several days or accompanied by (I) prostration; (II) decreased
glandular swelling; (IV) jaundice; (V) cough or shortness of breath; (VI) unusual bleeding; or (VII) paralysis.

ბ) ცხელებით ან მის გარეშე (I) მწვავე (ახალი) გამონაყრით კანზე ან ერთბაშად გამოყრით; (II)
(ზღვის დაავადების გარდა), (III) ძლიერი დიარეა, (IV) განმეორებადი კრუნჩხვები.

(b) with or without fever: (I) any acute skin rash or eruption; (II) severe vomiting (other than sea sic
diarrhoea; or (IV) recurrent convulsions.

აღნიშნულით ვადასტურებ, რომ დაწვრილებითი მონაცემები და პასუხები შეკითხვებზე, რომლებ
სანიტარიულ დეკლარაციაში (მათ შორის, დამატებაში), მართალია და ზუსტად ასახავს იმ მონაცე
მე გამაჩნია. I hereby declare that the particulars and answers to the questions given in this Declaration o
the schedule) are true and correct to the best of my knowledge and belief.

ხელმოწერა ----------

Signed კაპიტანი (Maste

ხელმოწერა ----------

Counter signed

გემის ექიმი

თარიღი ---------

სანიტარიული დეკლარაციის დამატება

ATTACHMENT TO DECLARATION OF HEALTH

გვარი Name	კლასი ან რანგი Class or rating	წლოვანება Age	სქესი Sex	მოქალაქეობა Nationality	პორტი და გემზე ასვლის თარიღი Port, date joined ship/vessel	დაავადების ხასიათი Nature of illness	სიმპტომების გაჩენის თარიღი Date of onset of symptoms	ეცნობა თუ არა პორტში ექიმს? Reported to a port medical officer?	დაავადების გამოსავალი* Disposal of case*	სამკურნა საშუალ ან სხვაგ მკურნა რომ ჩაუტ ავადმ Dru medic or ot treatm give pati

*მიეთითოს: (1) ავადმყოფი გამოჯანმრთელდა, ისევ ავადაა ან გარდაიცვალა ან (2) იმყოფება თუ არა ავად ევაკუირებულ იქნა გემიდან (მიეთითოს ჩამოსვლის პორტი) ან დაიკრძალა ზღვაში.

Whether the person (1) recovestill ill or died; and (2) whether the person is still on board, was evacuated (including th or airport) or was burried at sea.

დანართი №6

სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი №
Border Inspection Post

სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი ჩატარებულია
Sanitary - quarantine control was conducted

ხელმოწერა ----------
Signature
თარიღი `----" ---------- 20 ---- წელი
Date year

დანართი №7

საჰაერო ხომალდის საერთო დეკლარაციის სანიტარიული ნაწილი

HEALTH PART OF THE AIRCRAFT GENERAL DECLARATION

სანიტარიული დეკლარაცია
Declaration of Health

ბორტზე აღმოჩენილი დაავადებული პირები, გარდა საჰაერო დაავადებით ან უბედური შემთხვევებით გამოწვეული გარემოებებისა (მათ შორის, პირები ისეთი სიმპტომებით ან დაავადების ნიშნებით, როგორებიცაა გამონაყარი, ცხელება, გაციება, დიარეა), აგრეთვე რეისის შესრულებისას გადმოსხმული ავადმყოფები
Persons on board with illnesses other than airsickness or the effects of accidents (including persons with symptoms or signs of illness such as rash, fever, chills, diarrhoea) as well as those cases of illness disembarked during the flight

_____
_____

ბორტზე არსებული ნებისმიერი სხვა გარემოება, რომელსაც შეუძლია დაავადების გავრცელება
Any other condition on board which may lead to the spread of disease

_____
_____

დაწვრილებითი მონაცემები ფრენისას განხორციელებული თითოეული დეზინსექციის ან სხვა სანიტარიული დამუშავების შესახებ (ადგილი, თარიღი, დრო, მეთოდი). თუ ფრენისას დეზინსექცია არ ჩატარებულა, მიეთითოს დაწვრილებითი მონაცემები ბოლო დეზინსექციის შესახებ.
Details of each disinsecting or sanitary treatment (place, date, time, method) during the flight. If no disinsecting has been carried out during the flight, give details of most recent desinsecting

_____

_____

ხელმოწერა _____
Signature, if required:
საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის შესაბამისი წევრი
Crew member concerned

დანართი №8

მოწმობა ვაქცინაციის ან პროფილ

INTERNATIONAL CERTIFICATE OF VA

აღნიშნულით დასტურდება, რომ (გვარი, სახელი) This is to certify that [name] _____ ,
დაბადების თარიღი date of birth _____, სქესი sex _____, მოქალაქეობა nationality _____,

ნაციონალური საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, თუ მოითხოვება national identification document,

if applicable _____
რომლის ხელმოწერაც მოჰყვება whose signature follows _____
აღნიშნულ რიცხვში ვაქცინირებული იყო ან მიიღო პროფილაქტიკური საშუალება has on the date indicated been v

(დაავადების ან მდგომარეობის დასახელება)
(name of disease or condition)

ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების შესაბამისად in accordance with the International Health Regulations

ვაქცინა ან პროფილაქტი-კური საშუალება Vaccine or prophylaxis	თარიღი Date	პასუხისმგებელი ექიმის თანამდებობა და ხელმოწერა Signature and professional status of supervising clinician	ვაქცინის ან პრ და სერიის ნომ batch No. of vac prophylaxis
1			
2			

წინამდებარე მოწმობა ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიღებული ვაქცინა ან პროფილაქტიკური სა
the vaccine or prophylaxis used has been approved by the World Health Organization.

წინამდებარე მოწმობა ხელმოწერილი უნდა იქნეს ექიმის ან სხვა უფლებამოსილი მედიცინის მუშაკის მიერ, მოწმობაზე დასმული უნდა იქნეს ასევე დაწესებულების ოფიციალური ბეჭედი, სადაც განხორციელდა პროცედ
of the clinician, who shall be a medical practitioner or other authorized health worker, supervising the administratio
however, this shall not be an accepted substitute for the signature.

აღნიშნული მოწმობის ნებისმიერმა ცვლილებამ, მისი რომელიმე ნაწილის ამოშლამ ან შეუვსებლობამ შეიძლებ
any part of it, may render it invalid.

აღნიშნული მოწმობის მოქმედების ვადა გრძელდება ვაქცინაციის ან პროფილაქტიკის ჩატარებისათვის კონკრ
ასევე შეიძლება შეივსოს სხვა ენაზე ინგლისურის ან ფრანგულის დამატებად. The validity of this certificate sh
completed in English or in French. The certificate may also be completed in another language on the same document, in a

დასენიანებული რეგიონიდან ჩამოსული მგზავრის სააღრიცხვო ბარათი

1. სასაზღვრო ინსპექციის პუნქტი _____
2. სახელი, გვარი _____
3. სქესი _____
4. დაბადების წელი, თვე, რიცხვი _____
5. მოქალაქეობა _____
6. რეკომენდაციით განსაზღვრული ინფიცირებული ქვეყნის დასახელება
_____

7. საქართველოში ჩამოსვლამდე ადგილსამყოფლის სრული მისამართი (21 დღის განმავლობაში, მათ შორის, ბოლო 6 დღის)
_____

8. საქართველოში ჩამოსვლის მიზანი (ტურიზმი, საქმიანი ვიზიტი, სწავლა, მკურნალობა და ა.შ.)
_____

9. საქართველოში საცხოვრებელი ადგილის (დროებითი ადგილსამყოფლის) მისამართი
_____

ბარათის შევსების თარიღი
_____

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი
_____

დანართი №10

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №540 - ვებგვერდი, 13.12.2016წ.

გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმა
Evidence Report Form

შეიცავს ინფორმაციას კონტროლის დროს აღმოჩენილი დარღვევებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ
List of evidence found and control measures to be performed

წარმოადგენს გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობის დამატებას
Evidence Report Form to support the Ship Sanitation Certificate

დამატების თითოეულ გვერდზე დატანილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, შტამპი და თარიღი. თუ დამატება თან ერთვის უკვე არსებულ გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობას, აღნიშნულში მისი არსებობა უნდა დასტურდებოდეს (მაგ., შტამპით).

When attached to the Ship Sanitation Certificate (SSC), each page of this attachment needs to be signed, stamped and dated by the competent authority. If this document is used as an attachment to a pre-existing SSC, this attachment must be noted in the SSC (e.g. by using a stamp).

საზღვაო ხომალდის დასახელება და IMO № ან რეგისტრაციის № Ship's name and IMO-No. or Registration	გემის ბორტზე მყოფი პასუხისმგებელი პირის, (კაპიტანი/ოფიცერი) სახელი, გვარი და ხელმოწერა: Name and signature of responsible ship officer on board:
მოწმობის გამცემი ორგანო Name of issuing authority	ინსპექტირების ფაქტობრივი თარიღი: ____/____/_____ Actual inspection date
გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობის გაცემის თარიღი: ____/____/_____ Date of referred SSC	გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობა გაიცა პორტში: SSC issued in the Port of:

აღინიშნოს ზონები, რომლებიც არ შემოწმებულა:
Indicate areas that have not been inspected:

საცხოვრებელი სათავსები Quarters	კამბუზი, სურსათის სათავსი, კვების სამსახურის/ობიექტის ტერიტორია Galley, pantry, service area	საწყობები stores	ბავშვთა მოვლის ობიექტები Child care facilities
სამედიცინო მომსახურების ობიექტი Medical care facilities	საცურაო აუზები/ჰიდრომასაჟების აბაზანები Swimming pools/spas	მყარი და სამედიცინო ნარჩენები solid and medical waste	სამანქანო განყოფილება Engine room
სასმელი წყალი Potable water	ჩამდინარი წყლები sawage	საბალასტე წყლები Ballast water	ტრიუმები/სატვირთო სათავსები Cargo holds
სხვა (მაგ.,			

სამრეცხაოები და სარეცხი მანქანები) Other (e.g. laundry and washing machine)					
ბორტზე გამოვლენილია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მდგომარეობები Detected health events on board			დიახ yes		არა no
გამოვლენილი ფაქტის კოდი Evidence Code	გამოვლენილი ფაქტები (მოკლე აღწერილობა ჯანმო-ს საკონტროლო ნუსხის მიხედვით) (თითოეული ფაქტი გაიხაზოს ერთმანეთისგან განცალკევების მიზნით Evidence found (brief description according WHO checklist) Draw a horizontal line below each evidence found)	გასატარებელი ღონისძიებები Measures to be applied	მოთხოვნილი required	რეკომენდებული recommended	მიღებული ზომები ეფექტურად განხორციელდა (განმეორებითი ინსპექტირების ჩამტარებელი ორგანოს შტამპი და უფლებამოსილი პირის ხელმოწერა) Measure successfully performed (Stamp & signature of re-inspecting authority)
უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი: Name of issuing inspector:	უფლებამოსილი პირის ხელმოწერა: Signature of issuing inspector:	მოწმობის გამცემი ორგანოს შტამპი: Stamp of issuing authority:			გვერდი Page დან of